სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 მარტი, 2026 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება № 07-01/20

„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს** 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 **გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,შეთავსებით სამუშაოზე/ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელებაზე ბსუ-ს დასაქმებულზე წერილობითი თანხმობის (პირობითი თანხმობის) გაცემის საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 05 დეკემბრის N07-01/38 გადაწყვეტილების, ბსუ-ს **რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების** (სამსახურებრივი ბარათი 24/03/2026 წ. №350716), ,,შეთავსებით სამუშაოზე/ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელებაზე ბსუ-ს დასაქმებულზე **წერილობითი თანხმობის (პირობითი თანხმობის) გაცემის საორგანიზაციო** ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი **საბჭოს 2026 წლის 24 მარტის N07-01/19 გადაწყვეტილების,** წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/03, 24/03/2026 წ.) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. **,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების,** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ <u>ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის N07-01/42 გადაწყვეტილებაში</u> კერძოდ, N1 დანართის **(წესის) მე-11 მუხლის** (,,მუხლი 11. გარდამავალი დებულებები“) **მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,9. **2025-26 სასწავლო წელს** ,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე **ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირთა** მიერ წარმოდგენილი **შეთავსებით სამუშაოზე**/ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელებაზე წერილობითი თანხმობის მიღების თაობაზე <u>განაცხადების განხილვის შედეგად</u> ბსუ-ს <u>რექტორის მიერ</u> **გაიცეს წერილობითი თანხმობა/პირობითი თანხმობა** (თანდართული საინფორმაციო ბარათით) **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

ა) თანხმობა, <u>არაუმეტეს 1 წლის ვადით</u> - იმ შემთხვევაში, თუკი აკადემიური თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შინაარსი (ან/და წარმოდგენილი ცნობა/ცნობები დასაქმების ადგილიდან/ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ) არ

ეწინააღმდეგება (შეესაბამება) ამ დასაქმებულის ბსუ-სთან აფილირების შეთანხმებას, მიმდინარე სასწავლო წლისათვის ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული აკადემიური დატვირთვის კატეგორიას ან/და საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით და ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეუთავსებლობის რეგულაციას;

ბ) პირობითი თანხმობა არაუმეტეს 2026 წლის 01 სექტემბრამდე ვადით, ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის ბსუ-სთან აფილირების შეთანხმების ბსუ-ს აფილირების წესთან შესაბამისობაში მოყვანის (არაუგვიანეს 2026 წლის 01 სექტემბრისა), მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური (შრომითი) დატვირთვის შეუფერხებლად შესრულების, ბსუ-ში შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით ბსუ-ს სხვა რეგულაციების და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის პირობით – იმ შემთხვევაში, თუკი ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შინაარსი (ან/და წარმოდგენილი ცნობა/ცნობები დასაქმების ადგილიდან/ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ) სრულად არ შეესაბამება ამ დასაქმებულის ბსუ-სთან აფილირების შეთანხმებას, მიმდინარე სასწავლო წლისათვის ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული აკადემიური დატვირთვის კატეგორიას ან/და საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით და ბსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული თანამდებობრივი შეუთავსებლობის რეგულაციას.“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით განხორციელებული ცვლილება ძალაში შევიდეს **2025-26 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან (2026 წლის 09 მარტიდან).**
3. წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით მომზადდეს **კოდიფიცირებული** ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის **აფილირების,** აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის **წესი**“ და ამ გადაწყვეტილებასთან ერთად განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და პერსონალს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**